გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



**გაზეთი „ივერია“ პირველ სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.**



**სასოფლო მეურნეობის სკოლაში სოფ. წინამძღვრიანთ-კარში ორი თავისუფალი ალაგია.**

ვისაც სურს მიიღოს თავისუფალი მასწავლებლის ალაგი, იმან უნდა თავისი სურვილი გამოუცხადოს ქ. ტფილისში სკოლის მზრუნველს.

მასწავლებელს ექნება სადგური, შეშა და ჟულება მოსამსახურეთ მზარეული. სპეციალურ კლასების მასწავლებელს მიეცემა ჯამაგირი თთვეში სამ თუმან ნახევარი, მეორე მასწავლებელს-კი სამი თუმანი. მასწავლებელი უნდა იყოს კურსდასრულებული მასწავლებელთა სემინარიაში, ან ჰქონდეს უფლება მასწავლებლისა და კარგად იცოდეს რუსული და ქართული ენები.

მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი


ტფილისი, 23 აგვისტო

ვერაფერი სანატრელია ის დღე, რა დღეშიაც ჩაავდო ვენახის პატრონები კახეთისა ცალკე წყეულმა ნაცარმა და ცალკე უფრო წყეულმა მილდიუმა. მთელი ვენახები თურმე მოდებულია ამ ორგვარის სენითა და ღამის წლევანდელს მოსავალზედ სულ მთლად ხელი აალებინოს. ნაცარიო, ამბობენ, ბევრგან სხვაგანაც არისო, მაგალითებრ, ქართლში, იმერეთში, სომხეთში, მაგრამ ისე გაბმით კი არა, როგორც კახეთშია თურმე. კახეთში ხელ-აღებით შეუურია ნაცარი და თანაც ეს შეჩვენებული მილდიუც ზედ დართვია. ეს მილდიუ ჯერ მარტო კახეთშია გახშირებული და სხვა ადგილებში ჯერ არავითარი ნიშანი ამ საშინელის სენისა არ აღმოუჩენიათ.

1854 წლიდამ საქართველოში გაჩნდა ეგრედ-წოდებული „ნაცარი“ და მას აქეთია ვენახების პატრონებს ძლიერ აზარალებს. არ იქნა, ეს საძაგელი სენი არ გაეცალა ჩვენებურს ვენახებს! თუმცა ამ ბოლოს ხანებში თითქო ამ ავადმყოფობამ იკლო, ზოგიერთს ადგილას ზოგჯერ სულაც აღარ გამოჩენილა ასე, რომ თითქმის იმედიც მიეცათ სრულად გადავარდება და მოგვშორდება თავიდამაო, მაგრამ წელს-კი ისევ თავი იჩინა წინანდელის ძლიერებით და ზედ დაემატა კიდევ მილდიუცა. ამ ბოლოს ხანებში ვაზს ზედა-ზედ სხვა-და-სხვა ახალი მტერი უჩნდება, ერთი-მეორეზედ იმოდენად უარესი და ხელ-შეუვალი, რომ კაცს უნებლიედ ფიქრად მოსდის ვაზს ხომ არ დაუდგა ხანა გადაშენებისა, ან მთლად ამოვარდნისა დედამიწის ზურგიდამაო. მაგალითი მცენარეთა გადაშენებისა, თუ ამოვარდნისა არა ერთი და ორია ქვეყნიერობაზედ. მეცნიერთა რამდენი ნაშთი ამოუჩენიათ მცენარისა თუ ცხოველისა დედამიწაში, რომელნიც ერთს დროს ყოფილან და ეხლა-კი აღარ არიან.

რასაკვირველია, ამისი თქმა ვაზზედ მეტის-მეტია, მაგრამ რა იფიქროს კაცმა, როცა ჰხედავს, რომ ფილოქსერა, ნაცარი, მილდიუ, კიდევ სხვა რაღაც ახალი სენი, რომელსაც „ვაზის ყვავილს“ ეძახიან და სხვა ბევრი ამისთანა ასე ზედა-ზედ დაატყდა თავს ვაზსა და კაცი თავის მხრით მთელის მეცნიერების ძალ-ღონით ებრძვის და თითქმის ვერა გაუწყვია-რა.

ვაზის ამ დღეებში ჩავარდნამ, — რა თქმა უნდა, — იმ სასო-წარკვეთილებამდე არ უნდა მიიყვანოს კაცი, რომ სრულად იმედი გადაიწყვიტოს ვაზის მოსავლის გამობრუნებაზედ, ხოლო დღეს-კი მთელს ერთს მდიდარს მხარეს ჩვენის ქვეყნისას თითქმის ერთად-ერთს წყაროს ცხოვრებისას ხელიდამ ასე უწყალოდ აცლის. მემამულენი კახეთისა დიდად შეწუხებულნი არიან და არ იციან რით ირჩინონ და გამოიკვებონ თავი ამ უმადურს წელიწადსა. კახეთში, როგორც მოგეხსენებათ, უმთავრესი და უპირველესი ეკონომიური ღონე ღვინოა. სხვა ყოველი მიწის მოსავალი თუ მოჰყავთ, თავის სამყოფი მოჰყავთ და ძალიან იშვიათია, რომ ბაზარში გასატანად კახელმა სხვას რასმე მოსჭიდოს ხელი გარდა ღვინისა. ერთად-ერთი საგანი ღვინოა, რომელსაც კახეთი ჰყიდის და ამით უძლვება ყოველ გვარს ხარჯსა შინა თუ გარედ.

დღეს-კი, როგორც ვსთქვით, ამ ერთად-ერთს წყაროს გამოაკლდა ვენახის პატრონი კახეთისა და თავის წამხდარის ვენახის მაყურებელმა აღარ იცის რით გაუძლვეს თავის თავსა და თავის ოჯახს. რა თქმა უნდა, ძალიან გაუჭირდება კახეთს წლევანდელს წელს რამ მოაგვაროს, სამერმისოდ-კი მეტი არ იქნება ერთს ჩვენს სარჩიელს ყურადღება მიაქციოს.

რაკი ვენახი ასე საეჭვო წყაროდ გახდა და ამოდენა განსაცდელი თავს დასტრიალებს, მარტო ვენახზედ ნუღარ დავამყარებთ ჩვენს ავლა-დიდებასა და სარჩო-საბადებელის მოხვეჭას: სხვა რამ საწარმოებელიც მოვიმველიოთ, სხვას რასმესაც მოვკიდოთ ხელი. რა თქმა უნდა, უგზოობის გამო იმისთანა რასმე ვერ მოვკიდებთ ხელსა, რაც ვერ აიტანს ბაზარში გადატანის ხარჯს. პური, ქერი, სიმინდი და სხვა ამ გვარი სახმარი მარცვლეულობა ვერ აიტანს ბაზარში გადატანის ხარჯსა, რადგანაც ამ გვარი საქონელი საპანლად დიდია და ფასად-კი ცოტა ფასი აქვს. მაშასადამე, ყოველივე ამისთანა საწარმოებელი იმოდენად არის მოსაყვანი, რამოდენად შიგნით კახეთშივე საჭიროა. ამაზედ მეტი კახეთ გარედ ვერ გაიტანება და თუ გაიტანება, იმოდენა დაჯდება მისი წაღება, რომ თვითონ გადატანილის ფასი ძლივს მოიშორებს გადატანის ხარჯს. მაშასადამე, კახეთმა თავის სამეურნეოდ იმისთანა რამ უნდა მოიგვაროს, რომ ფასად ძვირად ჰღირდეს და საპანლადაც დიდი საზიდი და მძიმე გადასატანი არ იყოს. ღვინოც, მართალია, დიდი და მძიმე საზიდია, მაგრამ იმოდენად კაი ფასშია, რომ გადატანის ხარჯსაც ჰფარავს და თავის სადირალსაც ცოტად თუ ბევრად საკმაოდ ჰმოულობს.

ამისთანა საწარმოებელისათვის კახეთი თავისის ჰავითა, თუ მიწა-წყლითა ძალიან გამოსაყენებელია გამრჯელის კაცისათვის. რა არ გნებავთ, რომ არ მოვიდეს კახეთში! აბრეშუმი, რომელიც ჩვენს ხსოვნაშიაც-კი დიდად ნაქები იყო ქალაქის ბაზარში, ბამბა, თამბაქო, ალისარჩული, ზაფრანა, ეგრედ წოდებული ჩინური ჭინჭარი, სვია, სხვა მცენარენი, რომელთაგანაც ზეთი იხდება, საფერადო სადებავად კეთდება და სხვა ბევრი ამისთანა ადვილად მოსაყვანია კახეთში და დიდს ხელსაც მისცემს მუშაკსა და მწარმოებელსა. ყოველს ამას დიდი ბაზარი აქვს ზოგს ჩვენშივე, მაგალითებრ, ტფილისში, ზოგს საზღვარგარეთაც.

რასაკვირველია, ჩვენ ამ მოკლე წერილში ბევრს ვერას ვიტყოდით მასზედ თუ, რა და რა არის მოსაყვანი და ხელ-მოსაკიდებელი კახეთისათვის და თუ ჩვენ ასე გაკვრით დავასახელეთ ზოგიერთი მცენარე, მარტო იმისათვის, რომ აგვენიშნა იგი აზრი, რომლის მიმართ უნდა მიიქცეს ყურადღება კახელებისა, რათა ამ გზით აღმოიჩინონ სხვა რამ საგანი მეურნეობისა სარჩოსაბადებელის მოსაპოებლად და, რაკი ვენახი ამდენს განსაცდელშია, მარტო ვენახებზედ არ აიშენონ იმედი ცხოვრებისა და თავის რჩენისა.

* * *

# ფელეტონი

## ქაჯი ხალხის შეხედულებით იმერეთში.

(დასასრული *)

როგორც კაცი, ქაჯიც ორის სქესისაა: მდედრობითისა და მამრობითისა. რომელიც კაცს უხდება წინ და ეჩიდება, მამრობითის სქესისაა, ე. ი. „კაცი-ქაჯი“, როგორც ხალხი უწოდებს. კაცი-ქაჯი ლონეზე ადგია, ძალით მომრეობს და ეჩიდება კაცსა, „ქალი-ქაჯი“-კი ძალით არ ებრძვის კაცს და „სხეეფ“ (სხვაფრივ) აცდენს იმას. იგი მეტად ლამაზი არის და ამისათვის ადვილად შეუძლიან კაცი შეაცდინოს. მაგრამ თუ კაცი შესცდა ქაჯის ქალზე, არ უნდა გაამხილოს და საიდუმლოდ უნდა შეინახოს, თორემ გამხელისათანავე გაგიჟდება, ჭკუაზე შეიშლება. აი მაგალითიც:

ერთი ყმაწვილი და ახლად დაქვირგვინებული კაცი მოდიოდა შინისკენ. ღამე გზის პირას დაინახა ლობეზე ჩამომჯდარი მშვენიერი მანდილოსანი, თეთრ კაბაში გამოწყობილი. როდესაც კაცი მიუახლოვდა, მანდილოსანი წამოდგა და წინ გარდაელობა კაცსა. მანდილოსანმა დაუწყო ცდენა იმას. კაცი მიხვდა, ეს ქაჯის ქალი უნდა იყოსო, მაგრამ მაინც არ დაერიდა და შესცდა. შემდეგ ქაჯის ქალმა გარდაიყოლია ეს კაცი და თავისი ცოლიც შეაძულა. ცოლმა შეატყო ქმარს, რომ ვილაცასთან დადისო, და უნდოდა როგორმე გაემხილებინა, თუ ვისთან დაიარებოდა. ერთხელ კაცი დამთვრალი მოვიდა შინ და ცოლმა სიმთვრალეში წარმოათქმევინა. კაცი იმ ღამესვე გაგიჟდა და სამი-ოთხის დღის შემდეგ სულიც განუტევა.

ასე დაემართება იმას, ვინც ქაჯის ქალზე შესცდება და მერე გაამხელს. მაგრამ ვინც არ გაამხელს, იმას ქაჯის ქალი საყვარლად გაუხდება, როგორც ნამდვილი ქალი, მხოლოდ გარეთ, ტყეში. რაც უნდა იყოს, კაცის საქმე ამ შემთხვევაშიაც საბოლოოდ მაინც ცუდად წავა.

ერთს კაცს შეყვარებული ჰყვანდა ქაჯის ქალი; შინ ერთის გასათხოვარის ქალიშვილის მეტი არავინ ჰყავდა. ერთხელ კაცი სამუშაოდ იყო და ქალიშვილი-კი სადილს უმზადებდა შინ. როდესაც ცეცხლს ადგა და მჭადებს აცხობდა*), ამ დროს იმასთან ვილაც თავ-დახურული ქალი შემოვიდა. ქალიშვილი შეკრთა ამის დანახვაზე, რადგან ეს ქალი უცნობი იყო და მეორეც ისა, რომ სხვა ნაირი სახე ჰქონდა და გარეულობა ეტყობოდა. ეს იყო ქაჯის ქალი და ამ ქალიშვილის მამის საყვარელი. ქაჯის ქალი ძალიან მიეხალისა და მიესალმა ქალიშვილსა და უთხრა: „შვილო, შენ რად სწუხდები მაგის კეთებაზე? მოიტა, მე გავაკეთებ ყველაფერსო“. მართლაც ქაჯის ქალი დატრიალდა და „თვალის წამას ჩააჯინა (ჩააცხო) ქადები“. ქალიშვილმა შენიშნა, რომ უცნობ ქალს დიდი ფრჩხილები ჰქონდა და გულში ჰკვირობდა, ვინ უნდა იყოსო. როდესაც ყველაფერი დაამზადა, უცნობმა ქალმა უთხრა ქალიშვილს: «მე შენ ვერ მიცნობ და მე კი შენი დედინაცვალი ვარ; მე ვარ მამიშენის საყვარელი—ტყის ქალი». ამ სიტყვებზე ქალიშვილი ძალიან შეშინდა და კანკალი დაიწყო. მაშინ ქაჯის ქალმა უთხრა: „შენ ნუ გეშინიან, შვილო, შენ არაფერს არ გავნებ, ყოველთვის ხელს მოგიწყობ ხოლმე და ჩქარ-ჩქარაც გნახავ ხოლმე“... ქალიშვილს კიდევ უფრო შეეშინდა. ცოტახანს ქაჯის ქალი კიდევ ელაპარაკა და შემდეგ წავიდა. ქალიშვილმა მაშინვე გააგებინა ყველა ნათესავებსა და მეზობლებს ეს შემთხვევა. ნათესავებმაც მაშინვე გამოაშორეს იგი მამასა და გაათხოვეს. როგორც მითხრეს, ეს ქალი ეხლაც ცოცხალი არისო, მამა იმისი-კი მარტოდ სცხოვრებდა და სულ გარე-გარე დაიარებოდა. შემდეგ სადღაც გაჰქრა და არავინ არ იცის სად წავიდა.

ნაამბობიდგან სჩანს, რომ მამრის სქესის ქაჯი უფრო საშიშია და მავნებელიც და ამასთან უფრო გარეულიც; ქალი-ქაჯი-კი არ არის იმდენად საშიშარი. იგი ყველაფრით ჩვენებურს ქალსა ჰგავს და ტანისამოსიც აცვია მაშინ, როდესაც მამა ქაჯს-კი არაფერი არ აცვია; ხალხის გამოხატულებით ქაჯის ქალს ყოველთვის თეთრი ტანისამოსი აცვია.

წყლის ქაჯი ანუ „წყლის კაცი“ სცხოვრებს მდინარეებსა და დიდს მორევებში. რაც მდინარეში თევზია, იმას ეკუთვნის და იმისი ნებაა დააჭერინებს თუ არა მეთევზეს. მეთევზემ უნდა სცეს პატივი წყლის კაცს, ე. ი. იმისი ავუგი არ უნდა სთქვას, ყველგან უნდა ადიდოს და ძღვენი მიუტანოს ხოლმე. ძღვენი შესდგება ერთის ჰადისაგან, პატარა ხელადა (დოქი) ღვინისაგან და საჰამანდისაგან; უმეტეს ნაწილად საჰამანდად რძეს მიართმევენ. ამ ჩვეულებას ბევრი კარგი მეთევზე ასრულებს ეხლაც. ძღვენს მდინარის პირზე ჩაიტანენ ღამით, დასტოვებენ იქ და თვითონ სათევზაოდ წავლენ. როდესაც ეს მეთევზე ბადეს ისვრის, მაშინ წყლის კაცი მოურეკავს თევზს და დააჭერინებს მეთევზეს. როდესაც თევზის მიცემა უნდა, წყლის კაცი ქვას დაუშენს მეთევზეს და ამით უნდა მიხვდეს მეთევზე, რომ წყლის კაცი თევზს მოურეკავს. ქვა ძალიან ახლოს გაურბენს კაცსა, მაგრამ არ-კი მოხვდებაო. ქაჯი სხვა უბრალო კაცსაც ესვრის ქვას შესაშინებლად, მაგრამ არ მოახვედრებს და თუ მოახვედრა, მაშინ იტყვიან, „ქაჯმა დაკენჭაო“ და ეს ცუდი ნიშანია.

რომ წყლის ქაჯი მართლა მორევებში სცხოვრებს, ამის დასამტკიცებელ მაგალითსაც მოგვითხრობს ხალხი: ერთმა კაცმა დაჰყვინა ერთს დიდს მორევში. როდესაც ძირს, მორევის ძროში ჩავიდა, იქ შენიშნა, რომ გვერდიდამ სინათლე მოდიოდა. გაიხედა სინათლისაკენ და დაინახა, რომ ერთი მოხუცი კაცი დამჯდარიყო და ჩიბუხს ეწეოდა. ეს იყო გამოქვაბულს კლდეში მორევს და ეს გამოქვაბული სახლივით იყო მოწყობილი. შეშინებული კაცი მაშინვე ზევით ამო-

*) ის. „ივერია“ № 177.

*) იმერეთში ყოველ იჯრისათვის ცალკე აცხობენ ქადებს (სიმინდის ფქვილისაგან) კეცებზე.

## ახალი ამბავი

*** გუშინ დილით, კუკიის ხიდთან, ჩასახვევში, გზაზე მიმავალს ქალს ფაიტონმა ჩამოურბინა; ქალი შიშისაგან ერთბაშად შეკრთა, განზე გასხლტა, ფეხი გადაუცდა და გადავარდა წყლის პირას აყუდებულ კლდიდამ. ქალი გორვა-გორვით წავიდა ქვევით და ძალიან დაიჟეჟა.

*** 15 აგვისტოს მარიამობა იყო ქართლში, სხვათა შორის, სოფელს სალოლაშენშიაც, გორს ზემოდ ოცის ვერსის სიშორეზე. ეს დღეობა ბევრით არაფრით განირჩევა სხვა დღეობებისაგან, რომელიც ქართლში იციან. თუ გინახავსთ ან ფერისცვალება რუისში, ან ჯვრისთობა არბოში, გიორგობა სარკისა ციციანთ მთაში, ეთომ ყველა დღეობა გინახავსთ: თითქმის ყველა ეს დღეობა ერთმანეთსა ჰგავს. ერთი და იგივე ბაზარი და ვაჭრობა იმართება ყველგან, ერთი და იგივე ღამის თევაა, ლხინი და მეორე დღეს ჭიდაობა. ლოთობა და ღვინის სმაც დიდი იციან, ხოლო ამას არა იშვიათად ჩხუბიცა და კაცის ჩეხა და კვლაც მოჰყვება ხოლმე. წელს, მაგალითად, მარიამობა დღეს სალოლაშენში შექეიფიანებულმა და მთვრალმა ხალხმა რამდენიმე უწესოება და ურიგობა მოახდინა. ერთმა კაცმა მეორეს რევოლვერი ესროლა. რევოლვერი კაცს ასცდა და ერთს გლეხის დედაკაცს მოჰხვდა. ვიღაც იმერელმა დასჩეხა ხანჯლით ბებნელი ნალბანდი. სამაგიეროდ ბებნელებმა ძრიელ სცემეს იმერელს; ნაცემმა და დასისხლიანებულმა იმერელმა თავი განგებ მოიუძლურა, ისე რომ პოლიციის ბოქაულმა გლეხ-კაცის სახლში შეატანინა ხალხს მთვრალი ცალკე და ნაცემი და დასისხლიანებული იმერელი ცალკე. მაგრამ იმ ღამეს იმერელს გამოჰფხიზლებოდა და მეორე დღეს ადრე გაპარულიყო გლეხ-კაცის სახლიდამ, რომ ჩვენება არა ჩამოართვან-რაო.

*** სოფ. აბაშიდგან (სენაკის მაზრა) გვწერენ: სოფ. კვათინაში 7 აგვისტოს, ღამის ორს საათზე, შვიდიოდე ავაზაკი თავს დაესხა გლეხს პ. თოფურიას; ავაზაკების მოსვლა პ. თოფურიას გაეგო, მაგრამ ჰგონებოდა სოფლის მოხელე იქნება ვინმეო, თამამად ამდგარიყო და ეკითხნა შიგნიდგან გარეთ მყოფთათვის: ვინა ხართო. ამ დროს ავაზაკებს უეცრად კარები ჩამოეტეხნათ და შევარდნილიყვნენ სახლში. შესვლისათანავე ერთს ავაზაკთაგანს რევოლვერი გაუსროლია კედლისაკენ პ. შესაშინებლად. მართლაც პ. თოფურიას ისე შეშინებოდა, რომ იმ წამსვე ძირს დაცემულიყო და სული გაეპაბა. ავაზაკებსაც ჰგონებიათ, რომ თოფურია მოკვდაო. ამ დროს სხვა ორი ავაზაკი თოფურიას ცოლთან მისულან და შესაშინებლად ესეც დაუჭრიათ თავში. ამის მიუხედავად ქალს არ შეშინებია და ავაზაკებს შეჰბმია, მაგრამ რას დააკლებდა ერთი ქალი იმდენს კაცს. ავაზაკებს ცოტათი ცხვირი გაუკაწრავთ იქ მყოფ პატარა ბავშვისათვისაც და უკითხავსთ: ფულები სადა აქვს პ. თოფურიასო. ბავშვს ტირილი დაუწყია და პასუხი ვერ გაუცია. გაუტანიათ ავაზაკებს ზანდუკი კარში, ამოუღიათ იქიდგან რვა თუმნამდე ფული და ქალის ვერცხლის სარტყელი და არხეინად გასდგომიან გზას. პ. ცოლი გაჰყოლოდა კარში და ბევრი ეკივლა, მაგრამ ვერა გაერიგებინა-რა თავის კივილით, რადგანაც თოფურია მეზობლებზე ძალიან დაშორებულია და განმარტოებით სცხოვრებს. ქალი ისევ შემობრუნდა სახლში და ქმარი ისევ მწოლიარე დახვდა. „კაცო, რას შვრები, ზეზე ადექიო", უთხრა თურმე.

სრული სამი საათი იყო ნაშუაღამევისა, როცა ეს ამბავი შეატყობინეს ახლად განწესებულს მაზრის ბოქაულს, თავ. აბაშიძეს. თავადი აბაშიძე იმ წამსვე შეუდგა საქმეს. გათენებამდის აბაშიძე არ მოშორებია პ. თოფურიძის სახლს, სადაც დიდძალი ხალხი მოგროვდა. რომ გათენდა, ეზოში იპოვეს ხანჯლის ქარქაშის წვერი, რომელიც ავაზაკის ხანჯლისა იყო. იპოვეს აგრეთვე სანთლის ნამწვი. ეს ნივთები აბაშიძემ გადასცა გამომძიებელს, ბ-ნს მღვდლიევს. ცოტა ხნის შემდეგ ავაზაკების კვალიც აღმოაჩინეს და ის წვერ-მოტეხილი ქარქაშიც; ამასთანავე რამდენიმე ავაზაკიც იპოვეს. ვისზედაც ეჭვი აიღეს, დაიჭირეს და დროებით აბაშაში გააჩერეს.

ამ გვარი ავაზაკობა აქ, აბაშაში, წელს პირველი არ არის. აბაშიძის განწესებამდე მოხდა ორი ავაზაკობა, მაგრამ ავაზაკნი დღესაც არ აღმოუჩენიათ. ამის შემდეგ არ გასულა ერთი კვირა და დუქანი გასტეხეს სოფელს კოდორში; შემდეგ აბაშაში დასწვეს ერთი საწყალი გლეხი; გუშინ-წინ სოფელ საკაჭარაოში (აბაშის საზოგადოებისაა) დედაკაცისათვის მუცლის მოსაშლელი წამალი დაულევინებიათ და საცოდავი თან გადაჰყოლია.

*** ქართლიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ სოფ. დგვრისის გათქმული მკითხავი გარდაიცვალაო. გვეგონა, რომ მემკვიდრე არ აღმოუჩნდებოდა, მაგრამ არ გაუვლია ორიოდე დღეს, რაც იქ ახლო სოფელს ბარწემში გამოჩენილა მეორე დედაკაცი, რომელსაც ჩაუცვამს თეთრი ტანისამოსი დი ქადაგად დაცემულა. თურმე ამბობს, დგვრისის მკითხავმა მე დამილოცა ოქროს ტახტიო.

*** ცხინვალი: მე ამას წინადაც მოგახსენეთ, რომ აქ ბავშვების ავადმყოფობა მძვინვარებსო. არ იქნა ამ სენს ვერაფრით მოეღო ბოლო. ავადმყოფს აფადარათებს, მუხლსა ჰკვეთს, თვალში ჩინს უკარგავს და ბოლოს პირის ტკივილიც ემართება. ამ სენმა ქართველებში ხუთი თუ ექვსი იმსხვერპლა, ურიებისა და სომხებისა ნამდვილად არ ვიცი. ეს ავადმყოფობა მოდებულია, როგორც ცხინვალში, ისე სოფლებშიაც, და პატრონი-კი არავინა სჩანს. ერთად-ერთი ექიმი გვყავს და ორი ფერშალი, მაგრამ ამათის წესებისა ვერა გაგვიგია. თუ ავადმყოფს შეუძლიან ფეხზე დგომა და იმათთან მისვლა, ხომ კარგი, მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც წელი სწყდება ლოგინში და სიარული არ შეუძლიან. კიდევ კარგი, რომ აქ ერთი ყმაწვილი კაცი ექიმობს; ეს ყმაწვილი ჯანსა და ღონეს არა ჰზოგავს ავადმყოფებისათვის; იგი დაუზარებლად და იაფად ექიმობს და ძრიელ დიდი სახელიც გაითქვა მთელს მაზრაში. აძლევს წამალს ზოგიერთს გაჭირებულს და ხელ-მოკლეს უფასოდ. უფასოდ წამლების ძლევისათვის ზოგიერთებმა კიდეც უჩივლეს, მაგრამ, ჩვენდა სასიამოვნოდ არა გამოვიდა-რა.

*** იქიდამვე: ჩვენმა ცხინვალის სომხებმა კაი ხანია ერთი კეთილი საქმე დააწყეს: თუ ვინმე გარდაიცვალა, უქელეხოდ უნდა მიაბარონ მიწას. ამათ მიხედულებით ქართველებმაც დაიწყეს, მაგრამ სულ სხვაფერ. ამათ არ უნდათ მამა-პაპათა ჩვეულება შესცვალონ, მიცვალებული შეძლებული იყვეს თუ შეუძლებელი, თავისი მეზობელი, მოკეთე და ნათესავი აუცილებლად უნდა მიიპატიჟონ. როდესაც მიცვალებულს დაასაფლავებენ, ისადილებენ და შეძლებისადა გვარად სცემენ პატივს მიცვალებულის პატრონს; ათი შაურიდგან სამ მანეთამდე ყველა შეეწევა. ამ ნაირად ჭირისუფალს ვალი აღარ ედება.

*** 23 აგვისტოს აგურხანების ქუჩაზედ, ანდრონიკოვის სახლს ახლო, იპოვნეს მიგდებული ყმაწვილი, სულ, შეხედულობით, სამის დღის დაბადებული. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში გაიგზავნა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დაბა ხონი, 18 აგვისტო. რომელიმე ოჯახი მაშინ უნდა მოელოდეს წარმატებას, როცა ოჯახის უფროსი პატიოსანი, მშრომელი და მუყაითია, როცა ოჯახის წევრთა შორის სიყვარული, ნდობა და პატივი სუფევს. ესევე ითქმის საზოგადოებაზე, რომელიც ერთ ვეებერთელა ოჯახს უნდა წარმოადგენდეს. თუ საზოგადოების თავი კაცები ნამდვილი ადამიანებია, მაშინ საზოგადოების საქმეც წელმართად მიდის. მაშინ იბადება სხვა-და-სხვა კეთილი მოსაზრება, საქმე და საზოგადოების თვითეულს წევრს ცხოვრება თანდათან უადვილდება. მაგრამ ჩვენი უბედურებაც ის არის დღეს, რომ მოკლებულნი ვართ ასეთის სულისა და გულის და ხასიათისა და მიმართულების კაცებს, თუ ოდესმე განგებას მოწყალების თვალით გადმოუხედნია ჩვენკენ, თუ მშრომელი და პატიოსანი კაცები ულირსებია ჩვენთვის, ისინი მალე დაუმარცხებია შურსა და გაუტანლობას, მტრობასა და დაბეზღებას. აი ამისი კარგი მაგალითები:

იყო დრო, როდესაც ხონის საზოგადოებას თავისი საკუთარი საქალებო სკოლა ჰქონდა და სკოლისათვის ჩინებული შენობა ებადა. ყოველივე ეს ითავა და დაამთავრა კიდეც კნ. სოფ. წ—სამ, რომელსაც არც ხარჯი და არც შრომა დაუკლია ამ კეთილის საქმისათვის, შეძლების გვარად ზრუნავდა სკოლაზე; ყოველი იმისი შრომა საქებურიც იყო, მაგრამ თითო-ოროლა „კბილის მატლი" ხონს არას დროს არ აკლდა და ამ ვაჟბატონებმა დაბადეს რაღაც ჭორები... მოჰყვნენ ენის ბარაქაობას და მადლობის წილ, რომელიც უნდა მიეძღვნათ ამ მანდილოსნისათვის, უმადურება შეახვედრეს. ეს ვერ აიტანა თავ-მომწონე ადამიანის ბუნებამ და შემდეგ, რო-

---

ვარდა და იმას აქეთ იმ მორევში ჩასვლას ველარავინ ჰბედავს.

წყლის კაცს ძალიან ეშინიან ბადისა და ბადიანს კაცს ვერ მიეკარება ახლოს. თუმცა ბადეს ერიდება, მაგრამ ისეც მოხდება, რომ ბადის სროლის დროს შიგ მოჰყვება ბადეს მორევში მყოფი ქაჯი. როდესაც ბადეში მოჰყვება, ველარსად ვერ წავა, თუ შენ არ გაუშვი, თუნდა მთელი წელიწადიც ეგდოს ერთს ადგილას. არიან იმისთანა ქაჯებიც (მამალი ქაჯი), რომელნიც ბადეს გაჰხევენ და თავს გაიშვებენ. თუ ქაჯი დაიჭირე, არ უნდა გაუშვა, სანამ არაფერს შემოგპირდება. ის გეტყვის: გამიშვი და ბედსა გწევო, მაგრამ მაინც არ უნდა გაუშვა, სანამ საწინდრად ან თმასა და ან ფრჩხილს არ მოგცემს. საწინდრის აღების შემდეგ უნდა გაუშვა. ის დაგინიშნავს ადგილს და იმ ადგილზე უნდა მიხვიდე მეორე ღამეს. უსათუოდ მოვა და მოგიტანს რამე ძვირფასეულობას თავისის ფრჩხილის დასახსნელად. ფრჩხილი ანუ თმა იგივეა ქაჯისათვის, რაც ჭინკისათვის, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ფრჩხილისა და თმისთვის ჭინკა შინ წამოგყვება და გემსახურება, ქაჯი კი შინ არ წამოგყვება: თავისის ფრჩხილის დასახსნელად რასმე მოგიტანს, უმეტეს ნაწილად ექიმობას გასწავლის. ხალხის აზრით, ყველა ექიმებს ქაჯისაგან აქვსთ ნასწავლი თავისი ხელობა. აი, მაგალითად, რას მოგვითხრობს ხალხი იმაზე, თუ როგორ ისწავლეს ექიმობა გამოჩენილმა ექიმებმა (განსაკუთრებით ჯარა-ექიმებმა) შორაპნელმა თურმანიძეებმა:

ეხლანდელ ექიმ თურმანიძეების წინაპარი ორი ძმა განთქმულნი მეთევზეები იყვნენ. ერთხელ, როდესაც იგინი ღამე თევზაობდნენ, ბადეს გამოჰყვა წყლის კაცი. წყლის კაცმა სთხოვა, გამიშვითო, მაგრამ არ გაუშვეს, სანამ ქაჯმა ფრჩხილი არ მისცა და ადგილიც არ დაუნიშნა. მეორე ღამეს ორნი ძმანი მივიდნენ დანიშნულს ადგილზე და ქაჯიც მოვიდა. ქაჯმა იმათ მოუტანა წამლები და ასწავლა წამლობა. მას შემდეგ გაითქვა ექიმობის სახელი იმათმა ჩამომავლობამ, და რომ სხვა გვარზედ არ გადავიდეს იმათი სწავლა, ისინი ასწავლიან მხოლოდ თავიანთს ვაჟებს და არა ქალებს.

როგორაც სჩანს, წყლის ქაჯი უფრო სასარგებლო ყოფილა, ვინემ ხმელეთისა. დაჭერილს წყლის ქაჯს მოაქვს კაცთან ძვირფასეულობა ანუ ასწავლის ექიმობას თავისის ფრჩხილის ანუ თმის დასახსნელად, ხმელეთისას-კი ენების მეტი არა მოაქვს-რა.

ქაჯსა ჭინკასა და სხვა ამისთანა არა-წმიდა სულებს ხალხი საზოგადო სახელად უწოდებს „მავნე"-ს, ანუ „მავნე"-ს. ხალხი იტყვის: „დაბინდებისას მავნეულობა აიძვრებაო", ე. ი. სიარულს იწყებსო. თუ სადმე გარეთ ანუ უცხო ადგილას, მინდორში ანუ ტყეში და სხვაგან ზიხარ, როდესაც აღგები, უნდა იმ ადგილზე დაანერწყვო, ანუ დააფურთხო და ცოტა მიწა იქვე აღებული უბეში უნდა ჩაიყარო, თორემ „მავნე" ანუ არა-წმიდა სული აგყვება და ავად გაგხდისო. აქ, ამისთანა შემთხვევაში თუ კაცი ავად გახდა, გაციებით გახდება, რასაკვირველია, და ხალხს-კი სწამს, რომ არა-წმიდა სული აჰყვაო. თუ კაცი ავად არის და განსაკუთრებით თუ სიცხისა გამო აბოდებს, მაშინ იტყვიან: სწორეთ აყოლილიაო, და მკითხავს აკითხვინებენ. მკითხავიც ეტყვის: მაგ (ავადმყოფი) ამა-და-ამ ადგილზე ყოფილა და იქ აჰყოლია ანუ „დანადებიაო", გამოულოცვეთ და „ზერნებიც" გაუკეთეთო. აი რაში მდგომარეობს გამოლოცვა და ზერნების გაკეთება: თეფშზე დაჰყრიან სიმინდისა და ლობიოს მარცვლებს და აურევენ ქატოში. ამ თეფშს მიიტანენ ავადმყოფთან, ხელებზე აყრიან ისე, რომ მარცვლები ისევ თეფშზე სცვივოდეს და თანაც ულოცვენ. ამას ჰქვიან «გამოლოცვა». გამომლოცველი არის მოხუცი დედაკაცი. თუ ავადმყოფი ძალიან ავად არ არის, მაშინ ამ გამოლოცვას აყოფინებენ, და თუ ძალიან ავად არის, მაშინ გააკეთებენ რამდენსამე პურის პატარა ფიგურებს, რომელთაც ზოგს ჩიტის თავი აქვს, ზოგს კაცისა და სხვა. ამ პურებს გამოაცხობენ და გააწყობენ ხონჩას. ხონჩაზე ამ პურებს გარდა არის კიდევ პატარა რამე ჭურჭლით ღვინო, პატარა შვილდ-ისარი, სხვა-და-სხვა ჩითისა და სხვა მატერიის ნაჭრები და სხვა ამისთანანი. ხონჩას წაიღებენ და დასდგმენ იმ ადგილს, რომელსაც მკითხავი დაუნიშნავს. ამ ხონჩასა და განსაკუთრებით პურის ფიგურებს ეძახიან ზერნებს.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს ხალხში სამწუხაროდ ბევრი ჰხდება ამ გვარის ცრუ-მორწმუნოების მსხვერპლად. ხალხი დაჯერებულია, რომ ქაჯი ნამდვილად არსებობს. ამისათვის ბევრს ეშინიან ღამე და ამ შიშისაგან ვინ იცის რა არ მოეჩვენება. გზაში მიდის, დაინახავს ჯირკვსა, ბურდსა, ანუ სხვა ამისთანას და ჰგონია, სწორეთ ეს არის ქაჯიო, ეცემა ეკლიანს ბურდსა და, რასაკვირველია, დაიკაწრება. აი მაგალითი:

ერთი კაცი ძალიან მეთევზე იყო. ღამე ხშირად დაიარებოდა ხოლმე მდინარეზე და იჭერდა თევზს. ერთს ღამეს ბადეს რაღაცა გამოჰყვა (ალბად ჯირკი) და ეს მეთევზეს წყლის კაცად მოეჩვენა. შეშინებულმა მეთევზემ ველარაფერი ვერა ჰქნა და შემდეგ შიშით აკანკალებულმა ბადეს პირი აუწია ქაჯის გასაშვებად. ბადიდგან ჯირკი გამოვარდა და წყალში გადავარდა. მეთევზე-კი დღესაც დარწმუნებულია, რომ ის ქაჯი იყო. მეორეთ წასვლაზედაც ასე შეემთხვა და ჯირკმა (თუ რაც იყო) ბადეც გაუხია და ისევ წყალში გადავარდა. მეთევზე ეხლაც დარწმუნდა, რომ ეხლა იმას ბადის-სევის ქაჯი შეხვდა, ძალიან შეშინდა და საჩქაროდ შინისაკენ წამოვიდა. გზაზე მოეჩვენა, ვითომც იმის გარშემო გორებზე ქაჯებმა ცეცხლები დაანთეს და ზედ ევლებოდნენ. შემდეგ მოელანდა, ვითომც უკან ძაღლი მოჰყვებოდა. მეთევზე გამოექცეოდა ძაღლსა ბადით და ძაღლიც უკან გაიქცეოდა. შემდეგ რომ მოიხედავდა, ძაღლი ისევ უკან მოჰყვებოდა. ამ ყოფით მოვიდა იგი თავისს ეზომდე, ეზოში რომ შემოვიდა, მოეჩვენა ვითომც უკან მშვენიერი ქალი მოსდევდა. როდესაც მეთევზე შემოვიდა სახლის კარებში, ქალმა დაუძახა გარედამ: „არ შეგესწროო, მე ვიცოდი და ეხლა რაღა გიყოო". იმ ღამეს მეთევზემ ყველაფერი უამბო თავისს ცოლს და მაშინვე ავად გახდა და სული კინაღამ დალია. შემდეგ ავადმყოფობისაგან მორჩა, მაგრამ ჭკუაზე შეშალა და ეხლაც ამავე მდგომარეობაშია. ასე იმსხვერპლა ეს კაცი ცრუ-მორწმუნოებამ.

კორნელი

დესაც სრულიად ხელი აიღო წ—სამ საქმეზე, სკოლაც მალე გაუქმდა. სკოლა დაიკეტა და სკოლის სადგომი ქირით მიეცა ვიღაც ც—ვს; 100—200 ქალი-კი უსწავლელი დარჩა. თითქო ვერ დაიტიაო ზეცამ ასეთი უსამართლობა, მწარედ დარცხვენილის სკოლის ბედი თითქო მოარიდაო ქვეყნის თვალს, ერთს დღეს ცეცხლმა შთანთქა სკოლის სადგომი და ყოველივე იმისი სამკაული. იმის აქეთ უსკოლოდა ვართ და იმ ვაჟბატონებმა საქმე იმ რიგად დაგვიკვანძეს, რომ ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, ბევრი თავი გახმება, სანამ ხონი რიგიან ნიადაგზე დამყარებულ საქალებო სკოლას ეღირსება.

იყო დრო, როცა ორ კლასიანს საკაყო სკოლის ბედს ვაგლახად კაცი ვერ მოიხსენიებდა. ეს მაშინ, როდესაც სკოლის ზედამხედველად განსვენებული ჭ-·ძე იყო და იმის თანაშემწედ ბ ნი მ. ნ—ძე. იმ დროებში ხონში არსებობდა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. ამ «ამხანაგობასაც» სულს უდგამდნენ ეს ორი პატიოსანი კაცი. საკვირველი იყო, რომ მაშინ სხვა ყოველ საქმეშიაც რაღაც სიცოცხლე ეტყობოდა ამ პატარა დაბას. დღეს მარტო „კარტი" და «ნატარია»-ებია ერთად-ერთი სახსარი დროს გატარებისა და მაშინ-კი წარმოდგენებსაც ხშირად მართავდნენ. ასე კარგად მიდიოდა საქმე, მაგრამ... ეჰ!.. ან-კი როგორ შესძლებდნენ „ვაჟბატონები" სიცოცხლეს, თუ არ დაეშხამათ ვინმე და... ჰო, როცა აღასრულეს თავიანთი გულის წადილი, როცა ბედაურები დაიხოცნენ და მოედანი შერჩათ, ბოლო მოეღო ყოველს კეთილს განზრახვას და გაუქმდა ისეთი ფრიად სასარგებლო დაწესებულება, როგორიც შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა იყო.

იყო დრო, როცა ხონის საზოგადოებას გარდა ერთის ექიმისა სხვა ექიმი არ გააჩნდა. დიდად შეწუხებულიც იყო, რადგანაც ის ექიმი უეტლოდ ნაბიჯს არ გასდგამდა. ხოლო გადაიწმინდა ეს ღრუბლიანი ცა და მოვიდა მეორე ექიმი, ბ-ნი ჩ—ლი, რომელიც უფრო სიბრალულის გულით მოეკიდა ხალხს, იმან გამართა ღარიბთათვის მუქთი ექიმობა; არამც თუ ცხენით მისვლა-მოსვლა დაიზარა, ქვეითობაც იკადრა, როცა საქმე შეხვდა, და დღემდის დიდს შეღავათსაც აძლევდა ხალხს, მაგრამ აქაც გვიმტყუნა ბედმა! შურმა და გაუტანლობამ აქაც ცხვირი გამოყო და ისე აწეწ-დაწეწა გარემოება, რომ ეს ექიმი დღეს თუ ხვალ ხელიდამ უნდა წაგვივიდეს.

არა ერთი და ორი მაგალითია იმისი, რომ მეშურნეობასა და მტრობას უბრალოდ გაექელოთ პატიოსანი კაცი, მაგრამ აღმოსჩენია განა პატიოსანს კაცს აქ ვინმე დამხმარე, ან შემბრალე? ხონში, მართალია, არიან განათლებულნი: არიან მასწავლებელნი, არიან სხვანიც, რომელთაგან ზოგს საშუალო სწავლა-განათლება მიუღია და ზოგსაც უმაღლესს სასწავლებელში დაუმთავრებია სწავლა, მაგრამ... მახლას! ბედკრულ გოგიას სიმთა ჟღერა ისრე არ ეკარება ამათ გულს, როგორც ცერცვი კედელს...

ა-ე-მ-ე

## წერილი რედაქციის მიმართ

(მეჯვრისხევიდგან მოწერილის ამბის გამო)

ამას წინად გაზეთს „ივერიაში" დაბეჭდილი იყო ამბავი მეჯვრისხევიდგან. წავიკითხეთ იგი ამბავი და, სწორეთ რომ მოგახსენოთ, სასიამოვნოდ არ დაგვრჩა: საწყენი ის არის, რომ მოამბეს ისე არ შეუტყობინებია თქვენთვის დილიჟნის ამბავი, როგორც იყო. ამიტომ ვეცდები ყოველივე ნამდვილად გიამბოთ.

პირველად რომ გამართა სოლოლოვმა „ლინეიკა", ყველანი ჰსიამოვნებდნენ, თუმცა კი რაცა ნებავდა, იმ ფასს ახდევინებდა და ბევრს დაბრკოლებასაც ახვედრიდა მგზავრს, მაგრამ მისვლა მოსვლა ცოტათი მაინც გააადვილდა. ერთს დღეს საზოგადოებამ მოიყარა თავი, დაიბარა სოლოლოვი და უთხრა: „ლინეიკის" გარდა გამართე დილიჟანიც, შეგვეკარი საზოგადოებას პირობით და ჩვენც ხელს მოგიმართავთო. სოლოლოვმა ყველაფერზე უარი განაცხადა. ვიზარალებ და, არამც თუ დილიჟნის ყიდვას, ლინეიკის გაყიდვასაც ვაპირებო. ეს რომ კუს—შვილმა (რომელზედაც ასეთ ნაირად განრისხებულა მოამბე) გაიგონა, გამოაცხადა: სოლოლოვი მდიდარი კაცია, მაგისთვის ზარალი ამ გვარს საქმეში არაფერია და ჩემთვისკი დაღუპვა არისო. ამასთან ბრძოლა არ შემიძლიან და თუ მართლა თავს დაანებებს, როგორც ჰნებავს საზოგადოებას, იმ პირობით შემეკრასო. სოლოლოვმა საზოგადოებას გამოუცხადა—ბურთი და მოედანი დამითმია კ—შვილისთვისაო. კ—შვილმა აიღო ვალი, იყიდა დილიჟანი, ლინეიკა და ცხენები. საზოგადოებამ დასწერა განაჩენი—დაუწესა ფასი (ორი აბაზი), დაუწესა დრო წასვლისა და მოსვლისა, დაავალა ყოველ გვარის კორრესპონდენციების მუქთად ტარება და დაიწყო მისვლა-მოსვლა. გავიდა ორი კვირა და სოლოლოვმა და იმისმა სიძემ გამოჰყვეს თავი. „მე ხუმრობითა ვთქვი დილიჟანს არ გავმართავ მეთქი და ვიღაც შემოსულ კაცსა ჰყურობო". წაბძანდა ქალაქში, იყიდა «ბალდახინი» (ხუმრობა კი არ გეგონოთ), დილიჟნად გადააკეთებინა და გამოაცხადა: ჩემს ახალს ეტლს მოსწყინდა მკვდრების ტარება და ახლა ცოცხლები მიმყავს და მომყავსო. განცხადებაში ორი აბაზი ეწერა, მაგრამ რაცა ჰნებავდათ, იმას ახდევინებდნენ. ერთს ჩვენს ახალგაზდას, უნივერსიტეტში ახლად კურს-დამთავრებულს გარ—ს გადაახდევინეს მეტი. ეს ამბავი თქვენს გაზეთშიაც იყო გამოცხადებული და განმარტება საჭირო აღარ არის. გორიდგან წამოვიდა ამ დილიჟნით ერთი ფრანგის ქალი (გუვერნანკა) და, რა კი შეატყეს, რომ ხამიაო, ორის აბაზის მაგივრად, სამი მანათი გადაახდევინეს. ამბობენ, ერთს მგზავრს სოლოლოვის დილიჟანში დიდი უბედურება შეემთხვიო, მაგრამ ამას აქ არ გიამბობთ. განა ამის შემდეგ გასაკიცხია კიდევ მეჯვრისხეველი საზოგადოება, რომ ს—ოვის დილიჟნით არ დაიარება? ამ მხრით გასაკიცხი-კი არ არის საზოგადოება, გასამხნევებელია და საქები.

ა. ნ—ძე

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე არა ვარ იმ წერილის ავტორი, რომელიც დაბეჭდილი იყო „ივერიის" მე-160 №-ში წყველ მოამბის საპასუხოდ „ვინმე წყველი ქალი"-ს მიერ და მით აღმაშოროთ ის ეჭვი, რომელიც ჩემზე მოიტანეს ზოგიერთებმა *).

ელისაბედ ლ. ასული მაღრაძე

## უცხოეთი

ინგლისი. საზაფხულოდ საპარლამენტო კრებანი აღარ არის და დეპუტატები აქეთ იქით დაიარებიან, თან ისვენებენ და თან თავიანთს საპოლიტიკო აზრებსა და მოძღვრებას ავრცელებენ. ლიბერალები სცდილობენ ჩააგონონ ხალხს კონსერვატორების უვარგისობა, მეტადრე ირლანდიელთა შესახებ, და დააჯერონ ამომრჩევლები, რომ დღევანდელი სამინისტრო, კონსერვატორებისაგან შემდგარი, უსამართლოდ ექცევა ირლანდიასაო. ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებს თვით მეთაური ლიბერალებისა მოხუცი გლადსტონიცა. ამას წინად, როცა ლიბერალებს თავისის მეთაურის კაცისათვის მიურთმევიათ ფარფორის ვაზა, გლადსტონს სიტყვა წარმოუთქვამს ირლანდიის ყოფა-ცხოვრებაზე და უთქვამს სხვათა შორის შემდეგი: „აგერ 700 წელიწადია, რაც ინგლისი უფლობს ირლანდიაში, და დღეს მაინც კიდევ უარს ეუბნება, რომ შენ ჩემი ტოლი არა ხარო და არ გიძმობო. დღევანდელი სამინისტრო ხომ ძალმომრეობასაც არა თაკილობს, დაპატიმრებულს ირლანდიელებს მეტად უკაცურად ექცევა. ასე გასინჯეთ, მეფე ბომბაცკი-კი არა სტანჯავს და არ აწამებს ისე თავისს საპოლიტიკო დამნაშავეებს, როგორც კონსერვატორების სამინისტრო სტანჯავს და აწამებს 21 დეპუტატს ირლანდიისას. კონსერვატორების კაბინეტი იმიტომ ახერხებს ამას, რომ იმათ მხარი მისცეს ლიბერალებმა-უნიონისტებმა. დღეის იქით ყოველი ამომრჩეველი, რომელიც იმათ მისცემს თავისს კენჭს, თვითონაც მოვალე იქნება ირლანდიის წინაშე და იმისი ცოდო თავადაც უნდა იტვირთოს."

საფრანგეთი. დაამარცხეს ბულანჟე არჩევანებზე, დაამარცხეს დუელში და იმისი სახელი და დიდებაც გაჰქრა. თვით იმისი ამხანაგებიც-კი გადუდგნენ, მასხარად იგდებდნენ. ის გაზეთები, რომელიც მუდამ-დღე მანამდე ქებასა და დიდებას უწერდნენ, ისინიც-კი გადუდგნენ გადაყენებულს გენერალს. პოეტი პოლი, რომლის ლექსებსაც მღეროდა ხალხი ბულანჟეს პატივის საცემლად, გაჩუმდა და ხმა აღარ ამოუღია. მაგრამ ორ ნაირად დამარცხებული და განადგურებული გენერალი სასოწარკვეთილებას მაინც არ მიეცა. ბულანჟეს დედა ინგლისელი ქალი ჰყოლია და იმისგან გამოჰყოლია სიმტკიცე ხასიათისა. ასეთს გაჭირების დროს ბულანჟე არხეინად თურმე იყო და ძალიან ნაკლებად აქცევდა ყურადღებას განდგომილის ამხანაგებისა და გაზეთების დაცინვას. პირ-იქით, დამშვიდებით ელოდა დროს, რომ კვლავ თავი წამოეყო. ასეთი დროც დაუდგა. ზოგი მუშების მიერ ატეხილი უწესოება, ზოგი იმპერატორის ვილჰელმის სიტყვა ბრანდენბურგში და ხალხმა კვლავ მოიხსენა თავისი გენერალი. უცბად სამს დეპარტამენტში აირჩიეს ბულანჟე დეპუტატად აუარებელის ხმის უმეტესობით. აბა, ახლა რაღას იტყვიან ისინიო, ტრაბახობს ეხლა ეს გენერალი: ვინც მე დავიწყებასა და უბედობას მიწინასწარმეტყველებდაო. ამ ბოლოს დროს ბულანჟეს ბევრი რესპუბლიკელიც მიემხრო, მეტადრე ის რესპუბლიკელი, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია დღევანდელის პალატის დაშლა და ახალის არჩევანების დანიშვნა. ბულანჟეს მომხრენიც ხომ ამას ითხოვენ და აი, ლამის რესპუბლიკელებმაცა და ბულანჟეს მომხრეებმაც ერთმანეთს მისცენ ძმურად მხარი და დასცენ დღევანდელი მთავრობაცა და პალატაც. მაშინ ახალი არჩევანები გადასწყვეტს, უნდა თუ არა ერს ეს ახირებული გენერალი და იმისი პროგრამა ქვეყნის ხსნისა და ბედნიერებისა. რესპუბლიკელთა გაზეთები ამტკიცებენ, რომ ეგ ახალი არჩევანები დაამხობს სწორეთ ბულანჟეობას და სამარეს გაუთხრის სამუდამოდ თვით ბულანჟესაცაო. ძალიან კარგი, თუ მართლა აგრე მოხდა: იმედიც კარგი საქონელია.

*) ვაცხადებთ, რომ ამ აქ მოხსენებული წერილი ქ-ნ ელისაბედ მაღრაძეს არ ეკუთვნის. რედ.

## წვრილი ამბები

პარიჟელს კორრესპონდენტს „Daily Telegraph"-ისას მიუმართავს ემილ ზოლასათვის, რომ თქვენი აზრი შემატყობინეთ ქორწინებაზეო. ზოლას უპასუხნია, რომ „მე არავითარიმე აზრი არ შემიდგენია ქორწინებაზეო. მე ყოველთვის უფრო ისეთს საგნებზე ვფიქრობდი, რომელიც ახლო შეეხება კაცობრიობას, ეს საგნები სოციალური საგნები იყო. მწერალმა ადამიანი, კაცი უნდა შეისწავლოს და კანონ-მდებელმა-კი დევ კანონის შემოღებაზედ იზრუნოსო". კორრესპონდენტი რომანისტის ამ ზერე-ქვერე პასუხით არ დაკმაყოფილებულა, მისულა თავისის ფეხით ზოლასთან და ზოლას ეხლა უპასუხნია: „უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეგ საკითხავი საინტერესოდ და საყურადღებოდ არ მიმაჩნია. ეგ რომ დიუმას უთხრათ, ან რენანს და ან კიდევ დოდეს, მგონია თავისის გემოვნებისად ეჩვენოთ. განსაკუთრებით დიუმას მოეწონება, რადგან რამდენი ხანია ამ საგანს ჩაჰკირკიტებს. ჩემი აზრი-კი აი ეს გახლავსთ: რაც შეეხება საფრანგეთს, ქორწინება მეტად დამველებული და ცუდი დაწესებულებაა, რომელიც მხოლოდ იმ დრომდე გაისამღისებს, ვიდრე იმაზედ უკეთესს სხვას იპოვნიდნენ რასმე".

— ამ წარმავალის წლის 14 სექტემბერს პარიჟში აუგებენ ძეგლს ინგლისის დიდებულს მწერალს, ვილიამ შექსპირს. ეს ძეგლი პარიჟს საჩუქრად შესთავაზა ვილიამ ვინგტონმა, საერთა-შორისო სალიტერატურო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა. ეს ძეგლი გამოქანდაკებულია ფრანგ მოქანდაკე პოლ ფურნიეს მიერ, რომელიც ბევრს იღვწოდა და შრომობდა პარიჟისა და ინგლისის წიგნთ-საცავებში. შექსპირი სადღესასწაულო ტანთსაცმელშია; გრძელი წამოსასხამი, მარცხენა ხელით აკრეფილი, უკან ნაოჭადა ჰკიდია; მარჯვენა ხელში შექსპირს გარდაშლილი წიგნი უჭირავს; მაღალ შუბლზედ კეთილშობილებისა და ჭკუის ნიშანი აზდია. მთელი ძეგლი ბრინჯაოსაგან არის გამოქანდაკებული. ქანდაკების კვარცხლბეკი ორის ქვისაგან არის შემდგარი: ზემოთაზედ სწერია «ვილიამ შექსპირი 1564—1616». ზემოდ არშიაა გაფენილი შემდეგის ზედწარწერებით: „ოტელლო", „ჰამლეტი", „ჰენრის VIII", „რიჩარდ III", „მაკბეტი", „მეფე ლირი", „რომეო და ჯულიეტა". ასე რომ პარიჟში, სადაც იტალიის პოეტის დანტეს ძეგლია აგებული, ინგლისის პოეტის შექსპირისაც იქმნება ამიერიდგან.

— ერთს ფრანგს ყმაწვილს ამას წინად ფეხით უმოგზაურნია ნიმიდგან ბოლონიემდე. ეს ყმაწვილი სულ ათის წლისაა, ძალიან ნაზი აგებულება და ცოცხალი, გამჭრიახობით სავსე თვალები აქვს. ორი თთვე უვლია ფეხით და დიდ-ძალი მანძილი გამოუვლია. იგი საფრანგეთშია დაბადებული, თუმცა-კი მამა იტალიელი ჰყავს; სახელი ჰქვიან პეპიცი ბერტი. მგზავრობის დროს გლეხთა მიერ მიცემულ მოწყალებით უსაზრდოვნია და ორის თვის განმავლობაში ისეთი უხვი ყოფილა ეს მოწყალება, რომ არც ერთხელ არ უგრძნია შიმშილი. ყველაზედ საკვირველი-კი ის არის, რომ არც ერთს აგენტს პოლიციისას არ შეუწუხებია მარტოდ-მარტო მომგზავრე ბავშვი არც იტალიასა და არც საფრანგეთში.

— ყველა რედაქტორებს ლონდონისას ამას წინად მიუღიათ ერთი მეტად ლაზათიანად და ლამაზად გამოცემული წიგნი—კრება ლექსებისა, ვიღაც უცნობის პოეტის, გვარად ჯემს როლანდის, მიერ შეთხზული. ყველა იმ წიგნში, რომელსაც-კი რეცენზენტებთან იყო წარგზავნილი, შიგ დებულა შემდეგის შინაარსის ბარათი: „თუ თქვენს გაზეთში ამ ოთხს დღეს ჩემი შენათხზი წიგნი ნაქები და მოწონებული არ იქნება, მაშინ გაიგონებთ, თუ რა კარგად იცის სროლა ჩემმა დამბაჩამ". ზოგიერთს ჟურნალისტებს საჩივარი შეუტანიათ სასამართლოში ამ მწერლის მუქარის გამო, ხოლო როლანდს იმითი უმართლებია თავი, რომ ჩემს წერილში დასახელებული არ არის ვის მოხვდება დამბაჩის ტყვია და ვისკენ იქმნება მიმართულიო, მე ამ სიტყვებს თვითონ ჩემს თავზე ვამბობდიო. როლანდი, რაღა თქმა უნდა, გაუმართლებიათ, ხოლო მთელს ამ ამბავში საყურადღებო ისაა, რომ ამ საჩივრის გამო ატეხილ მითქმა-მოთქმით უცნობს პოეტს ყურადღება საზოგადოებისა დაუმსახურებია და დიდ-ძალი კრება ლექსებისა გაჰყიდვია.

— დორტმუნდიდგან იუწყებიან შემდეგს ამბავს, რომელიც ცხადად ამტკიცებს, რომ ძაღლს მშვენიერი წინადგრძნობა აქვს. ერთს იქაურს ფაბრიკაში ამას წინად ერთს ძაღლს ლეკვები დაუყრია. ლეკვები ფაბრიკის ერთს მიყრუებულს კუნჭულში ჰყოლია. წარსულს კვირას, სადილს შემდეგ, ძაღლს უეცრად დაუვლია პირი თავისის ლეკვებისათვის და დაუწყია იმათი სხვა ადგილას გადაზიდვა. ამის დანახვაზე ძალიან გაოცებულან მომუშავენი, რადგან ყველას ძალიანა ჰყვარებია ძაღლი და არც არავინ უშლიდა თურმე ლეკვების იქ ყოფნას. ხოლო ცოტა ხანს უკან-კი დარწმუნებულან, რადაც გადაუზიდნია ძაღლს ერთის ადგილიდგან მეორეში ლეკვები; სამის საათის შემდეგ ატეხილა ჭექა-ქუხილი, კოკის-პირული წვიმა წამოსულა და წყალი შევარდნილა იმ ადგილას, სადაც ძაღლს წინად თავისის ლეკვებისთვის ბინა ჰქონია. ამ გონიერს ოთხ-

ფეხს ალბად უგრძნია, რომ ტაროსი ცვლილებას აპირებსო, და თავისი ლეკვები უფრო სანდო და უშიშარს ადგილას შეუგდლებია.

# დეპეშა

23 აგვისტო

**პეტერბურგი.** დღეს ნაშუადღევს ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე დაბრუნდნენ სოფ. ილიინსკიდგან პეტერგოფს.

**ბალტიმორი.** აქ დაიწვა რამდენიმე საქონლის საწყობი 1½ მილიონ დოლარისა.

**პრაღა.** გუშინ გნევრმა შეჰყარა სახალხო კრება ამ კრებამ დაადგინა, რომ დაკანონებული იქმნას ჩეხიის მეფის კურთხევა და რომ ჩეხია გაუთანასწორონ ვენგრიას. რაგერმა დანიშნა პრაგაში კრება სტარო-ჩეხების დასისა.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და ქსენია ალექსანდრეს ასული დღეს დილით მობრძანდნენ პეტერგოფს.

აკადემიკოსსა და პროფესსორს ბუსლაევს ებოძა ორდენი თეთრის არწივისა. ეს ორდენი ებოძა, როგორც სწერია უმაღლესს რესკრიპტში, იმის გამო, რომ პროფესსორს შეუსრულდა 50 წელიწადი მას აქეთ, რაც იგი ემსახურება სამშობლოსა და მეცნიერებას.

გუშინ გარდაიცვალა მინისტრი, სტატს-სეკრეტარი ფინლანდიის დიდის სამთავროსი ბარონი ბრუნი.

დღეს მიდის მინისტრი საერო განათლებისა უნივერსიტეტების დასათვალიერებლად. დაათვალიერებს ჯერ ყაზანის უნივერსიტეტს და სულ ბოლოს მოსკოვისას. დათვალიერება იმათი გასტანს ორს თთვემდე.

**ბერლინი.** იმპერატორის ვილჰელმის და სოფიო დანიშნა ბერძენთა მემკვიდრე პრინცმა.

**ბელგრადი.** როგორც ხმა ისმის, განქორწინების საქმე მეფისა იმიტომ გადაიდო, რომ მეფეს განზრახვა აქვს აიძულოს სკუპჩინა და გამოაცხადებინოს, ეგ განქორწინება საჭიროა თვით სამეფოს ინტერესისათვისაო.

**ცეტინიე.** ჩერნოგორიის მთავრობა უარ-ჰყოფს ბოროტის განზრახვით გავრცელებულს ხმას ვენგრიის გაზეთებისას, ვითომ ამ მთავრობამ გაჰყიდა ის პური, რომელიც რუსეთმა დამშეულთათვის აჩუქა. რუსეთის ნაჩუქები პური დაურიგდა დამშეულთ იმ კომიტეტის მიერ, რომლის წევრად ირიცხება რუსეთის მინისტრ-რეზიდენტიცაო.

პეტერბურგის ბირჟა, 19 აგვისტო

| | მყიდველნი | გამყიდველნისა | გაყიდულნისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 8 04 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 159½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 26 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 267½ | — „ | — „ |
| —მეორისა | 247½ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 98 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | 98 „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 82½ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
აგვისტო 31 დღით არის.

24 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. ევტიხისა. კათოლ. ტერეზიასი და ბართლომესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ მე-28 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—22, ჩადის 6—28. მთვარე 24 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. | |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | „ |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


## განცხადებანი

სკოლა-პანსიონი

**საყმაწვილო ბაღი**

ს. ვ. არღუთინსკისა.

ფრეილინის ქუჩა, № 8.

ყმაწვილებს მიიღებენ აგვისტოს 20-დგან, ხოლო სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდგან. (3—2)

ქ. გორში, ორლობის ქუჩაზე, თვალიევის სახლში გავმართე ერთ-კლასიანი კერძო სასწავლებელი ვაჟთათვის. ამ სასწავლებელს საგნად აქვს მისცეს ყმაწვილებს პირველ-დაწყებითი სწავლა-ცოდნა და აგრეთვე მოამზადოს იგინი სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლების პირველ კლასებში შესასვლელად. მიღება ყმაწვილებისა დაიწყება 25 მარიამობისთვიდგან. სწავლის ფასი თითოზედ თვეში 2 მანათი.

კონსტანტინე გრ. ძე ცხვედაძე

(10—9)

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

# მამიდა ასმათი

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

ნამდვილი საუნჯეა

ყველასთვის განთქმული წიგნი

**თავის მკურნალი**

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნს.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—31)

ტფილისში

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიის წიგნთ-საწყობში ისყიდება

მ. ჯანაშვილის მიერ

შედგენილი წიგნები:

ა) საქართველოს საეკკლესიო ისტორია (ფასი 45 კ.);

და ბ) საქართველოს მოკლე ისტორია (სამი აბაზი).

შენიშვნა. უკანასკნელი გამოცემა საერო განათლების სამინისტროსაგან „მოწონებულია იმ სასწავლებელთათვის, რომლებშიაც ასწავლიან ქართულს ენას“ (სამინ. მოხს., 24 ოქტომ. 1884 წ., № 6037).

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ კვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა | „ | 5 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |

## კიოლერის სურნელოვანი წყალი.

ძნელად თუ რუსეთის რომელსამე საპარფიუმერო ნაწარმოებს მოეპოვოს ისეთი დიდი და კარგი სახელი, როგორიც დაიმსახურა ჩემმა „სურნელოვანმა წყალმა“. ამ წყალში უხვად ურევია სურნელი ნივთიერებანი, ამასთან ნახევარ ფასად ისყიდება და კიდეც ამიტომ ყველანი ამჯობინებენ სხვა ო-დე-კოლონებსა და საპირფარეშო წყლებსაც-კი, როგორც ტანისამოსისა და ხელსახოცების გასასურნელოვანებლად, ისე ტანზე წასასმელად და ოთახის დახშულ ჰაერის გასასუფთავებლად და სხვ. ამ წყალს ერთი იშვიათი თვისება ისა აქვს, რომ ამისი სასიამოვნო სუნი დროთა განმავლობაში არ იკარგება, და, ვისაც ერთხელ უხმარია, იმისთვის იგი შეუცვლელი მოთხოვნილებაა. დიდად მოხერხებული შეზავება სხვა-და-სხვა სურნელოვანებისა ამ წყალში რგებს ნერვების გასამაგრებლად, გულის წასვლისა, თავის ტკივილისა და აღელვებისას. განსაკუთრებული სახელი—**კიოლერის სურნელოვანი წყალი** იმიტომა აქვს დარქმეული, რათა გაარჩიონ სხვა ამ გვარსავე ო-დე-კოლონებისაგან (Eaux de Cologne), როგორც კიოლერისა, აგრეთვე სხვის მიერ შემზადებულებისაგან.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან, მოსკოვში—**რ. კიოლერთანა და ამხ.**, ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—3 (ц.)

## სკოლა და პანსიონი

მ. ა. ნასიძისა

(კუკიაში, ელისაბედის ქუჩაზედ, თ. ანდრონიკაშვილის სახლებში, № 93)

ამზად ბს ბავშვებს გიმნაზიის, რეალურ და საქალაქო სასწავლებლის პირველმს კლასისათვის. გარედამ მოსიარულე მოწაფენი იხდიან თვეში 5 მანათს, პანსიონში მცხოვრებნი 25 მანათს. (10—2)


Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Августа 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე